

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!



ნ ე ღ ნ ი ს ა

ა უ ღ ი ტ უ რ ი კ ო ნ ც ე რ ნ ი

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2019

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
1. ძირითადი ინფორმაცია	11
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	11
3. მომზადების საფუძველი	11
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	21
7. ავანსები	21
8. წინასწარ გადახდილი გადასახადები	22
9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	23
10. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	24
11. საწესდებო კაპიტალი	24
12. შემოსავალი რეალიზაციიდან	24
13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	25
14. მიწოდების ხარჯები	25
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25
16. მოგება (ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	26
17. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	26
18. რისკების მართვა	27
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	30
20. გაუთვალისწინებელი გარემოებები	31
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	32

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2019 წლის 25 აპრილს:

დირექტორი ----- გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი ----- მაია ლიპეროვსკაია

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“-ს მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია შპს „აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური ემჯიაი ჯორჯია“-ს მიერ, რომელმაც არამოდიფიცირებული მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2018 წლის 15 მაისს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 3

და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვას კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

ზვიად იმნაიშვილი

შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისა“

თბილისი, საქართველო

25 აპრილი, 2019 წელი

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2018 GEL	31.12.2017 GEL	შენიშვნა
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	168,625	124,497	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	608,553	4,122,916	6
ავანსები	207,490	29,582	7
წინასწარ გადახდილი გადასახადები	23,268	42,197	8
მიმდინარე აქტივები სულ:	1,007,936	4,319,193	
გრძელვადიანი აქტივები :			
ძირითადი საშუალებები	7,088	16,528	9
არამატერიალური აქტივები	545	634	9
გრძელვადიანი აქტივები სულ:	7,633	17,162	
აქტივები სულ	1,015,569	4,336,356	
მიმდინარე ვალდებულებები:			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	536	3,490,622	10
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	536	3,490,622	
ვალდებულებები სულ:	536	3,490,622	
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	100	100	11
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	1,014,934	845,634	
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	169,300	195,433	
კაპიტალი სულ:	1,015,034	845,734	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	1,015,569	4,336,356	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი ----- მათა ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018	2017	შენიშვნა
	GEL	GEL	
შემოსავალი რეალიზაციიდან	6,301,325	6,534,554	12
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(5,908,740)	(6,144,051)	13
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	392,585	390,503	
მიწოდების ხარჯები	(100,291)	(67,897)	14
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(155,919)	(131,403)	15
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან	136,375	191,203	
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	32,925	4,079	16
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	-	152	
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან	32,925	4,231	
მოგება/(ზარალი) დაბეგვამდე:	169,300	195,433	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ :	169,300	195,433	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება/(ზარალი):	169,300	195,433	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი ----- მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018 GEL	2017 GEL
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	9,602,259	5,879,605
შემენილი სასაქონლო - მატერიალური მარაგი	(9,353,784)	(5,615,335)
გადახდილი ხელფასები	(68,036)	(81,349)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(100,291)	(67,897)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(160)	(9,640)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(57,283)	(26,951)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	22,705	78,432
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(6,178)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(6,178)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	21,423	(519)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	44,128	71,735
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	124,497	52,762
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	168,625	124,497

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი ----- მათა ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
	GEL	GEL	GEL
ნაშთი 31.12.2016-თვის	100	650,200	650,300
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)	-	195,433	195,433
ნაშთი 31.12.2017-თვის	100	845,634	845,734
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)	-	169,300	169,300
ნაშთი 31.12.2018-თვის	100	1,014,934	1,015,034

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი ----- მათა ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულ იქნა 2014 წლის 12 მარტს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 405033878. იურიდიული მისამართია - ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიცკევიჩის ქ. #29-29ა (ნაკვეთი #15/25). კომპანიის ხელმძღვანელია გიორგი კაციტაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო ტექნიკის და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმით ვაჭრობა (რეექსპორტი).

კომპანიის ერთადერთი 100%-იანი დამფუძნებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანია „MN Medical“ (#11514417, ესტონეთი).

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანია „MN Medical“-ის დამფუძნებელი ფიზიკური პირები:
ევგენი ბალიაევი (38805100139 - ბელორუსიის რესპუბლიკა - 97,5%);
ვალერი ტროფიმოვი (36308270315 - ესტონეთის რესპუბლიკა - 1,25%);
სვეტლანა ტროფიმოვა (46612250301 - რუსეთის ფედერაცია - 1,25%).

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. აგრეთვე არსებობს საკითხები რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება და მუდმივ ცვლილებებს განიცდიან, რაც დამატებით ბარიერებს წარმოშობს საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის.

3. მომზადების საფუძველი

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ

გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

ბ) წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ერთეულის სიზუსტით.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. წარსადგენ ვალუტაში ოპერაციების აღრიცხვისთვის კომპანია იყენებს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის საშუალო კურსს.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები:

	31.12.2018	31.12.2017
ლარი / 1 USD	2.6766	2.5922
ლარი / 1 EUR	3.0701	3.1044
ლარი / 100 RUB	3.8588	4.4935

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, არ გააჩნიათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2018 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

ვ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

კომპანია აღრიცხავს ცვეთას კლებადი ნაშთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა

კომპიუტერული ტექნიკა და კომუნიკაციის საშუალებები	- 5 წელი
განუსაზღვრელ ვადიანი არამატერიალური აქტივები	- 6-7 წელი

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

თ) ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისათვის და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

თუ გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში შესული არაწარმოებული ფინანსური აქტივი აღარ არის უახლოეს მომავალში გასაყიდად გამიზნული, შესაძლებელია მისი რეკლასიფიკაცია სამართლიანი ღირებულებიდან მოგების ან ზარალის მეშვეობით, შემდეგ შემთხვევებში:

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის გასვლამდე;
- იშვიათ შემთხვევებში, სხვა ფინანსური აქტივები შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას გასაყიდად არსებულ ან დაფარვის ვადამდე შენარჩუნებულ კატეგორიებზე.

გასაყიდად არსებულად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას სესხებსა და მისაღებ ანგარიშებზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის დადგომამდე;

ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით რეკლასიფიკაციის თარიღისათვის. არ ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ნებისმიერი მოგების ან ზარალის შებრუნება. ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის წარმოადგენს მის ახალ ღირებულებას ან ამორტიზებად ღირებულებას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ არსებობს რამე შემთხვევის ან შემთხვევების შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ი) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ლ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი.

მ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ნ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ო) ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და ჯერ არ არის დანერგილი

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შემდგომი დაგეგმვით აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ხელმძღვანელობა არ მოელოა, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16. „იჯარა“.

2015 წლის იანვარში, ბასს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება. ფასს 16-ის გამოყენება შეიძლება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16 მოითხოვს, რომ მოიჯარეებმა იჯარები აღრიცხონ სტანდარტის ფარგლებში იმის ანალოგიურად, როგორც ამჟამად აღრიცხება ფინანსური იჯარა ბასს 17-ის „იჯარა“ მიხედვით. მოიჯარეები აღიარებენ აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 ითვალისწინებს. კომპანია არ მოელოა ფასს 16-ის ვადაზე ადრე მიღებას და ამ ეტაპზე აფასებს ფასს 16-ის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2018 GEL	31.12.2017 GEL
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	168,625	124,497
	<u>168,625</u>	<u>124,497</u>

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს ერთ კომერციულ ბანკში - სს „თიბისი ბანკი“.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული განფენილობა საკრედიტო და სავალუტო რისკებთან მიმართებაში წარმოდგენილია რისკების შენიშვნა 18-ში.

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2018 GEL	31.12.2017 GEL
არარეზიდენტი დამკვეთები	608,553	4,122,916
	<u>608,553</u>	<u>4,122,916</u>

კომპანიის მთავარ დამკვეთს წარმოადგენს მისი დამფუძნებელი „MN Medical OU“ (ესტონეთი), რომლის დაკვეთით კომპანია ახორციელებს სამედიცინო დანიშნულების ნაწარმის რეექსპორტს.

7. ავანსები

	31.12.2018 GEL	31.12.2017 GEL
გაცემული ავანსები ადგილობრივ კომპანიებზე	219	224
გაცემული ავანსები არარეზიდენტ კომპანიებზე	207,270	29,358
	<u>207,490</u>	<u>29,582</u>

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გადახდილი ავანსის ძირითად ნაწილს შეადგენდა არარეზიდენტი კომპანიისათვის - „Cordis A Cardinal Health Company“-სთვის გადახდილი ავანსი 197,515 ლარი და 29,358 ლარი შესაბამისად.

8. წინასწარ გადახდილი გადასახადები

2016 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელი იყო სხვადასხვა გადასახადების გადახურვა, თუ ერთ გადასახადში კომპანიას ავანსად გადახდა უფიქსირდებოდა, ხოლო მეორე გადასახადში დავალიანება.

2016 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

კომპანია ძირითადად სამი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, ქონებისა და მოგების გადასახადები.

	31.12.2018 GEL	31.12.2017 GEL
ქონების გადასახადი	-	(2)
ერთიანი საგადასახადო ბარათი	23,268	42,200
	<u>23,268</u>	<u>42,197</u>

9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	კომპიუტერული ტექნიკა და კომუნიკაციის საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	22,377	1,051	23,428
დამატება	-	-	-
გასვლა	(10,382)	-	(10,382)
სულ ისტორიული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,995	1,051	13,047
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	(2,217)	(89)	(2,306)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(5,849)	(417)	(6,266)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(8,066)	(506)	(8,572)
ჩამოწერა	3,159	-	3,159
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(4,907)	(506)	(5,413)
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,088	545	7,633

	კომპიუტერული ტექნიკა და კომუნიკაციის საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16,199	1,051	17,250
დამატება	6,178	-	6,178
გასვლა	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22,377	1,051	23,428
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	(2,316)	(106)	(2,423)
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(3,532)	(311)	(3,843)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(5,849)	(417)	(6,266)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის	(5,849)	(417)	(6,266)
ნარჩენი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,528	634	17,162

10. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

	31.12.2018 GEL	31.12.2017 GEL
ადგილობრივი მომწოდებლები	536	-
არარეზიდენტი მომწოდებლები	-	3,490,622
	<u>536</u>	<u>3,490,622</u>

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კრედიტორულ დავალიანებას შეადგენდა „Johnson&Johnson LTD“-სთვის გადასახდელი თანხა 3,490,622 ლარის ოდენობით.

11. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 100 ლარს, რომელიც ფულადი ფორმით შევსებულია დამფუძნებლის მიერ. კომპანიას არ მოუხდენია საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება დაარსების მომენტიდან.

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2018	2017
შემოსავალი სტენტების რეალიზაციიდან	4,840,453	5,234,251
შემოსავალი იმპლანტების რეალიზაციიდან	1,460,872	1,300,303
	<u>6,301,325</u>	<u>6,534,554</u>

13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2018	2017
რეექსპორტზე რეალიზებული სტენტების თვითღირებულება	(4,533,667)	(4,928,215)
რეექსპორტზე რეალიზებული იმპლანტების თვითღირებულება	(1,375,073)	(1,215,836)
	<u>(5,908,740)</u>	<u>(6,144,051)</u>

14. მიწოდების ხარჯები

	2018	2017
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(82,198)	(49,577)
საბროკერო მომსახურება	(18,093)	(18,321)
	<u>(100,291)</u>	<u>(67,897)</u>

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	(85,045)	(101,686)
კომპენსაციის ხარჯი	(9,029)	-
საკანცელარიო ხარჯები	(228)	(216)
საიჯარო ქირა	(3,840)	(3,840)
კომუნიკაციის ხარჯები	(1,370)	(1,783)
საფოსტო მომსახურების ხარჯი	(3,435)	(4,188)
კომპიუტერის ხარჯები	(1,143)	(1,041)
საკონსულტაციო ხარჯები	(12,337)	(12,184)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	(428)	(455)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,306)	(2,423)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(124)	(183)
მივლინების ხარჯი	(2,075)	-
სხვა საერთო ხარჯი	(765)	(291)
საბანკო ხარჯები	(33,795)	(3,113)
	<u>(155,919)</u>	<u>(131,403)</u>

16. მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობებიდან

	2018		
	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22,869	(4)	22,865
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		(213,430)	(213,430)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	22,869	(213,434)	(190,565)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	235,372	(11,882)	223,490
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	235,372	(11,882)	223,490
სულ	258,241	(225,316)	32,925

	2017		
	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	36,400	(36,920)	(519)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	467,959	(575,610)	(107,651)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	504,360	(612,530)	(108,170)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	469,952	(357,703)	112,249
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	469,952	(357,703)	112,249
სულ	974,312	(970,233)	4,079

17. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის

მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

18. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აზრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია

მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყეებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

	31.12.2018			
	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	157,114	2	157,116
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	608,553	-	608,553
აქტივები სულ:	-	765,666	2	765,668
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-	-	-
ვალდებულებები სულ:	-	-	-	-
ნეტო შედეგი	-	765,666	2	765,668
USD (10% ცვლილება)	76,567			
EUR (10% ცვლილება)	-			
RUB (10% ცვლილება)	-			

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31.12.2017			
	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	939	116,048	175	117,162
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	4,122,916	-	4,122,916
აქტივები სულ:	939	4,238,964	175	4,240,078
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	(3,490,622)	-	(3,490,622)
ვალდებულებები სულ:	-	(3,490,622)		(3,490,622)
ნეტო შედეგი	939	748,343	175	749,456
USD (10% ცვლილება)	74,834			
EUR (10% ცვლილება)	94			
RUB (10% ცვლილება)	17			

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

განხორციელებული ტრანზაქციები პარტნიორთან

	2018 წელი	2017 წელი	31.12.2018	31.12.2017
დებიტორული დავალიანება	-	-	608,553	4,122,916
შემოსავლები	6,301,325	6,534,554	-	-

განხორციელებული ტრანზაქციები ძირითად მენეჯმენტთან

	2018 წელი	2017 წელი	31.12.2018	31.12.2017
ხელფასები და სხვა სარგებელი	(51,450)	(55,080)	-	-

20. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი კანონმდებლობის განმარტებები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში, შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და შეფასებებისას და ამის გამო, შესაძლოა ის ოპერაციები და საქმიანობები, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, სადავო გახდეს მომავალში. ამ სახით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან დამატებით გადასახადებს, ჯარიმებსა და საურავებს. არაპრაქტიკულია გაუცხადებელი მოთხოვნების ოდენობის განსაზღვრა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს მომავალში, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნებისმიერი არახელსაყრელი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. ფისკალური პერიოდები ღია რჩება შესაბამისი ორგანოების მიერ საგადასახადო შემოწმებისთვის სამი კალენდარული წლის განმავლობაში, შემოწმების წლამდე. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო ხანგრძლივი პერიოდებიც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

სასამართლო დავები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში კომპანიას არ გააჩნდა სასამართლო დავები.

სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ამის გამო ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. ეს ცვლილებები საკმაოდ ბუნდოვან და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ, რითიც საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევენ მოახდინონ ამ ცვლილებების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება. გადასახადების შემოწმება შესაძლოა სხვადასხვა ორგანოების მიერ იქნას ჩატარებული, რის გამოც კომპანიას სხვადასხვა ხასიათის ჯარიმების, თუ საურავების დაკისრების საფრთხე ექმნება.

ეს გარემოებები ქმნიან ისეთ საგადასახადო რისკს, რომელიც გაცილებით მაღალია საქართველოში ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, თუმცა არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია, რომ მოითხოვდეს განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2019 წლის 25 აპრილს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



გიორგი კაციტაძე

მაია ლიპეროვსკაია

და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

ზვიად იმნაიშვილი
შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისა“

თბილისი, საქართველო
25 აპრილი, 2019 წელი



შპს „ემ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2018 GEL	31.12.2017 GEL	შენიშ ვნა
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	168,625	124,497	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	608,553	4,122,916	6
ავანსები	207,490	29,582	7
წინასწარ გადახდილი გადასახადები	23,268	42,197	8
მიმდინარე აქტივები სულ:	1,007,936	4,319,193	
გრძელვადიანი აქტივები :			
ძირითადი საშუალებები	7,088	16,528	9
არამატერიალური აქტივები	545	634	9
გრძელვადიანი აქტივები სულ:	7,633	17,162	
აქტივები სულ	1,015,569	4,336,356	
მიმდინარე ვალდებულებები:			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	536	3,490,622	10
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	536	3,490,622	
ვალდებულებები სულ:	536	3,490,622	
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	100	100	11
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	1,014,934	845,634	
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	169,300	195,433	
კაპიტალი სულ:	1,015,034	845,734	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	1,015,569	4,336,356	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი

მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ემ ჯედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018 GEL	2017 GEL	შენიშვნა
შემოსავალი რეალიზაციიდან	6,301,325	6,534,554	12
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(5,908,740)	(6,144,051)	13
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	392,585	390,503	
მიწოდების ხარჯები	(100,291)	(67,897)	14
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(155,919)	(131,403)	15
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან	136,375	191,203	
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	32,925	4,079	16
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	-	152	
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან	32,925	4,231	
მოგება/(ზარალი) დაბეგვამდე:	169,300	195,433	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ :	169,300	195,433	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება/(ზარალი):	169,300	195,433	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი

მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2018 GEL	2017 GEL
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	9,602,259	5,879,605
შემოსული სასაქონლო - მატერიალური მარაგი	(9,353,784)	(5,615,335)
გადახდილი ხელფასები	(68,036)	(81,349)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(100,291)	(67,897)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(160)	(9,640)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(57,283)	(26,951)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	22,705	78,432
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
მირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(6,178)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(6,178)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(6,178)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	21,423	(519)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	44,128	71,735
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	124,497	52,762
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	168,625	124,497

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

გიორგი კაციტაძე

მთავარი ბუღალტერი

მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ემ ენ მედიკალ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
	GEL	GEL	GEL
ნაშთი 31.12.2016-თვის	100	650,200	650,300
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)	-	195,433	195,433
ნაშთი 31.12.2017-თვის	100	845,634	845,734
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი)	-	169,300	169,300
ნაშთი 31.12.2018-თვის	100	1,014,934	1,015,034

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი





გიორგი კაციტაძე

მაია ლიპეროვსკაია

თანდართული შენიშვნები მე-11 დან 32-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.